ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6328487

ნომერი: AR1949336

თარიღი : 13.02.2023

გაცემის თარიღი : 15.02.2023

გაცნობის თარიღი : 15.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №6257892 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 13 თებერვალს №AR1949336 განცხადებით მომართა თამაზი მურვანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის

21 დეკემბრის №6257892 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 14 დეკემბრის №6248362 ბრძანებით შეთანხმდა №81.08.19.233 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №6257892 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 21 დეკემბრიდან 2025 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №6257892 ბრძანებაში დაფიქსირებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირებულ მშენებლობის ეტაპებში მე-6 და მე-7 ეტაპად მითითებულია ერთი და იგივე სამშენებლო სამუშაოები.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2022 წლის 14 დეკემბრის №AR1939677 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, რომელშიც განსახორციელებელი სამუშაოების მე-6 ეტაპად მითითებულია შემდეგი სამუშაოები: 0.00, +2.4, +5.7, +9.0, +12.30 ნიშნულებზე ფილის მოწყობა (ბლოკი-„ბ“). თუმცა, ტექნიკური შეცდომის შედეგად სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №6257892 ბრძანებაში მე-6 ეტაპის სამუშაოებში განმეორდა მე-7 ეტაპის სამუშაოები. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ ბრძანებაში არასრულად დაფიქსირდა მე-5 ეტაპის სამუშაოებიც.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №6257892 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მე-5 და მე-6 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა +3.45 და +9.69 ნიშნულებზე. ბლოკი „ა“.
6) +0.00; +2.4; +5.7; +9.0 და +12.30 ნიშნულებზე ფილის მოწყობა. ბლოკი „ბ“.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №6257892 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №6257892 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.